საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№ 2564 2018 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ დაფინანსებული „მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცია აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ დაფინანსებული „მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამის“ ფარგლებში არსებული დანაზოგებით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მიმართოს აზიის განვითარების ბანკს (ADB) „მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამის“ ფარგლებში არსებული დანაზოგებით მდინარე მტკვარზე (ორთაჭალა ჰესიდან ზაჰესამდე ტერიტორიაზე) საზოგადოებრივი და ტურისტული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით კვლევის ჩატარების დაფინანსებასთან და ბათუმის ბულვარის ტერიტორიის გასაგრძელებლად (გონიო-კვარიათის დასახლებამდე) და მდინარე ჭოროხზე ხიდის მშენებლობისთვის (გონიოს

ყოფილი პოლიგონის ტერიტორიიდან ბათუმთან დაკავშირების მიზნით) ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ჩატარების, სოციალური და გარემოსდაცვითი გარემოებების დეტალური შესწავლისა და საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადების დაფინანსებასთან დაკავშირებით.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**